საქართველოს მთავრობის განკარგულება

№930 2016 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფუძნების, სამეთვალყურეო საბჭოს განსაზღვრისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის №558 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უზრუნველყოს, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ - პროექტის განხორციელების ფარგლებში, კურსთაშორისი სხვაობით და შუამავალი ბანკების მომსახურების საკომისიოების ჩამოჭრის შედეგად წარმოშობილი ხარჯების დაფინანსება, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დამტკიცებული

„იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ (KfW) ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 05 01) განსაზღვრული ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი _____ გიორგი კვირიკაშვილი